

**"საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის"  
დავების განხილვის წესები**

**შესავალი**

1. "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც "დეპოზიტარი") და მისი თითოეულ წევრის (მონაწილის), (შემდგომში—"წევრი") ქონებრივი დავა განიხილება "საქართველოს საფონდო ბირჟის" მიერ დაფუძნებულ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (შემდგომში—"არბიტრაჟი") მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე.
2. დეპოზიტარის და მისი წევრების საქმეებს განიხილავენ ამ არბიტრაჟის არბიტრები.
3. თითოეული არბიტრი უნდა იცავდეს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ წესებს, რომლებიც მოცემულია მე-11 მუხლში.
4. თითოეული არბიტრი უნდა იცავდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ზღუდავს წინამდებარე წესებში აღნიშნული კონფიდენციალური, არასაჯარო ინფორმაციის გამოყენებას (მუხლი 15).
5. არბიტრაჟმა უნდა უზრუნველყოს სამი არბიტრი თითოეული საარბიტრაჟო პროცესისთვის, წინამდებარე წესებით დადგენილი პროცედურების გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები თანხმდებიან მცირე სასარჩელო პროცედურების გამოყენებაზე; ამ შემთხვევაში არბიტრაჟი პროცესისათვის გამოყოფს ერთ არბიტრს.
6. არბიტრაჟი დროდადრო, არბიტრაჟის წესის ხელახალი განხილვისა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის რეკომენდაციას გასცემს, რაც განხორციელებისათვის დამტკიცებულ უნდა იქნას არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭოსა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ.
7. არბიტრაჟი აწესებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც არბიტრები უნდა აკმაყოფილებდნენ არბიტრაჟში მუშაობისათვის, ასევე, განსაზღვრავს არბიტრთა ტრენინგის პროგრამის მოთხოვნებს.
8. არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭო არბიტრაჟის თავმჯდომარის თანამდებობაზე, ხმათა უმრავლესობით, ერთი წლის ვადით ირჩევს ერთ არბიტრს.
9. არბიტრაჟი ორგანიზებას უწევს ყველა საარბიტრაჟო საქმეს, რომელიც არბიტრაჟის მიერ განხილვას ექვემდებარება. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია:
  - (ა) აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს არბიტრაჟში შეტანილი საარბიტრაჟო პრეტენზიები, რომლებიც ექვემდებარება არბიტრაჟის მიერ განხილვას და რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისი ფორმით;
  - (ბ) აწარმოოს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს საარბიტრაჟო რეესტრი ყველა შესაბამისი თარიღის მითითებით;
  - (გ) არბიტრაჟში მონაწილე მხარეებს გადასცეს საარბიტრაჟო წესების ასლები;
  - (დ) უზრუნველყოს საქმეში მონაწილე მხარეებისთვის ყველა ოფიციალური დოკუმენტის და უწყების დროულად გადაცემა ამ წესების შესაბამისად;
  - (ე) გააკონტროლოს დოკუმენტაციის წარდგენის ვადების დაცვა ყველა მხარის მიერ;
  - (ვ) აწარმოოს ყველა საარბიტრაჟო დოკუმენტაციის კონტროლი.

**მუხლი 1**

**ზოგადი დებულებები**

1. ქონებრივი ღირებულება, რომელიც წარმოიშობა დეპოზიტარს და წევრს(წევრებს) ან დეპოზიტარის წევრებს ან კლიენტსა და დეპოზიტარის წევრს შორის, ან ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, მხარეთა შეთანხმების მიხედვით და ამ წესების თანახმად განსაზღვრულად გადაეცემა არბიტრაჟს.

2. "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად მხარეებს შორის დადებული შეთანხმება არბიტრაჟში განსაზღვრულად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) წერილობით უნდა ჰქონდეთ გაფორმებული. შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს;

- 2.1. მხარეთა დასახელება და მათი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი;
- 2.2. დავის საგანი;
- 2.3. შეთანხმების დრო და ადგილი.

3. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილს, ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობა იურიდიულ ძალას არ დაუკარგავს საარბიტრაჟო შეთანხმებას.

4. თუ, საარბიტრაჟო განხილვის დროს, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება ისეთ საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ განხილვის საგანს და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგზე, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არბიტრაჟი არ ჩაითვლება შემდგარად.

5. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაციაააარ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების მოშლას, ხოლო არბიტრის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურა არ შეიცვლება მხარეთა შეთანხმების გარეშე.

6. "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარის სარჩელს ან არბიტრაჟის თხოვნას განიხილავს ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა.

## **მუხლი 2**

### **შეტყობინება და მომსახურება**

1. წინამდებარე წესებთან დაკავშირებით, ნებისმიერი შეტყობინება, კომუნიკაცია ან წინადადება ოფიციალურად უნდა მიეწოდოს პირადად ადრესატს ან მის უფლებამოსილ პირს ან უნდა გაეგზავნოს საცხოვრებელ ადგილზე, სამსახურში ან მის იურიდიულ მისამართზე; ხოლო თუ აღნიშნულის დადგენა ვერ მოხერხდა კუთილგონიერი მოძიების შედეგად – ადრესატის იმ საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის ან იურიდიულ მისამართზე, რომელზეც ის იმყოფებოდა ბოლო ინფორმაციით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი ამგვარი მიწოდების დღეს.

2. წინამდებარე წესების თანახმად ვადების ათვლა იწყება ნებისმიერი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

## **მუხლი 3**

### **საარბიტრაჟო პრეტენზია**

1. საარბიტრაჟო საქმის აღმძვრელი მხარე (შემდგომში – “მოსარჩლე”) საარბიტრაჟო პრეტენზიას უგზავნის არბიტრაჟის თავმჯდომარეს და მოწინააღმდეგე მხარეს (შემდგომში – “მოპასუხე”).

2. საარბიტრაჟო პროცესის დაწყების თარიღად ითვლება მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღების დღე.

3. საარბიტრაჟო პრეტენზიაში აღნიშნული უნდა იქნას:

- (ა) სადავო საკითხის არბიტრაჟისათვის გადაცემის მოთხოვნა;
- (ბ) მხარეთა ვინაობა და მისამართები;
- (გ) მითითება საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;
- (დ) მითითება იმ ხელშეკრულებაზე, რომლიდანაც ან რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა დავა.

## **მუხლი 4**

## სასარჩელო განაცხადი

1. თუ სასარჩელო განაცხადი შეტანილი არ არის საარბიტრაჟო პრეტენზიაში, მოსარჩელემ საარბიტრაჟო პრეტენზიის გაგზავნიდან 10 დღის ვადაში თავისი სასარჩელო განაცხადი წერილობით უნდა მიაწოდოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს და მოპასუხე მხარეს (მხარეებს). ხელშეკრულებისა და, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ხელშეკრულების ნაწილი არ არის, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების ერთი ასლი თან უნდა დაერთოს სასარჩელო განაცხადს.

2. სასარჩელო განაცხადში მითითებული უნდა იქნას:

- (ა) მხარეთა ვინაობა და მისამართები;
- (ბ) სარჩელის დამამტკიცებელი ფაქტები;
- (გ) სადავო საკითხები;
- (დ) თანხის ოდენობა, რომლის მიღებასაც თხოულობს მოსარჩლე კომპენსაციის სახით.

3. მოსარჩლეს უფლება აქვს, სასარჩელო განაცხადს თან დაურთოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ან მითითება მასზე, ან რაიმე სხვა დამამტკიცებელ საბუთზე, რომლის წარდგენაც სურს, რაც, მისი შეხედულებისამებრ, დაკავშირებულია დავასთან.

### მუხლი 5

#### მოპასუხის წერილობითი პასუხი და შეგებებული სარჩელი

1. საარბიტრაჟო პრეტენზიის, ხოლო თუ სასარჩელო განაცხადი ცალკე წარდგინა მოპასუხეს, მაშინ მისი მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში მოპასუხემ მოსარჩლესა და არბიტრაჟს უნდა შეატყობინოს წერილობითი პასუხი.

2. პასუხი უნდა ეხებოდეს ამ წესების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სასარჩელო განაცხადის პუნქტებს. მოპასუხეს შეუძლია დანართის სახით წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მის სიმართლეს, ან მიუთითოს იმ დოკუმენტებზე ან სხვა რაიმე დამამტკიცებელ საბუთზე, რომელსაც იგი წარადგენს.

3. პასუხში, მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი, თუ ის წარმოიშობა მხარეებს შორის დადებულ იგივე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. შეგებებულ სარჩელზე ვრცელდება მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები.

### მუხლი 6

#### დავის განხილვის ადგილი

მხარეებს შორის დავა განიხილება საქართველოს დედაქალაქ თბილისში არბიტრაჟის მისამართზე.

### მუხლი 7

#### ცვლილებები

1. საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობაში მხარეს შეუძლია მის მიერ წარდგენილ სარჩელში ან პასუხში ცვლილების ან დამატების შეტანა, თუ არბიტრაჟი არ განიხილავს მათ შეუსაბამოდ, მისი დაგვიანების ან მეორე მხარის მიმართ წარუდგენლობის ან რაიმე სხვა გარემოების გამო.

2. არ შეიძლება ამ ცვლილების ან დამატების შეტანა, თუ ასეთი გზით შეცვლილი სარჩელი სცილდება არბიტრაჟის წესებს ან საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს.

### მუხლი 8

#### საარბიტრაჟო შეთანხმების იურისდიქცია და კანონიერება

1. საარბიტრაჟო კოლეგია ან ერთპიროვნული არბიტრი (შემდგომში "დავის განმხილველი არბიტრაჟი") უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე მხარის გაპროტესტებასთან დაკავშირებით, რომ მას

არ გააჩნია იურისდიქცია, ასევე - საარბიტრაჟო დებულებების ან საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას ან ძალაში ყოფნასთან დაკავშირებით.

2. დავის განმხილველი არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს იმ ხელშეკრულების არსებობა ან კანონიერება, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმება. საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს და ითვალისწინებს საარბიტრაჟო განხილვას წინამდებარე წესების მიხედვით, განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობებისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულება. დავის განმხილველი არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ იურიდიულ ძალას არ დაუკარგავს საარბიტრაჟო შეთანხმებას.

3. გაპროტესტების განაცხადი, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია უფლებამოსილება, უნდა წარედგინოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს და მეორე მხარეს საარბიტრაჟო პრეტენზიის გაგზავნიდან (მიღებიდან) 10 დღის ვადაში.

4. ზოგადად დავის განმხილველი არბიტრაჟი, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილებას იღებს მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით გაპროტესტების განაცხადზე. დავის განმხილველ არბიტრაჟს შეუძლია საარბიტრაჟო პროცესის გაგრძელება და ასეთ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება.

### **თავი ირ. საქმის განმხილველი არბიტრაჟის შემადგენლობა**

#### **მუხლი 9 არბიტრის არჩევა**

1. როდესაც მხარეები თანხმდებიან ამ წესების 47 მუხლის თანახმად მცირე სასარჩელო პროცედურების გამოყენებაზე, მაშინ საარბიტრაჟო პროცესისათვის არბიტრაჟი შემდეგი წესით ნიშნავს ერთ არბიტრს:

ა) სასარჩელო განაცხადისა და პასუხის მიღების შემდეგ არბიტრაჟი ორივე მხარეს უგზავნის არბიტრთა სიას, რომლიდანაც, პირველ რიგში, ამოღებულია ის არბიტრი, რომელიც რაიმე გზით ან პროფესიული თვალსაზრისით დაკავშირებულია რომელიმე მხარესთან ან სხვაგვარი პირადი ინტერესი გააჩნია მოცემულ საარბიტრაჟო საქმეში;

ბ) თითოეული მხარე, ხუთი დღის ვადაში, ამ სიიდან ირჩევს სამ-სამ ისეთ არბიტრს, რომლებიც, მათი აზრით, საარბიტრაჟო პროცესში გამოავლენენ მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას. მხარეებმა თავიანთი არჩევანი სასურველობის მიხედვით უნდა დანომრონ – პირველი, მეორე და მესამე.

გ) არბიტრაჟის თავმჯდომარე თითოეული მხარის ე.წ. “მოკლე სიიდან” ირჩევს ერთ არბიტრს და დაუყოვნებლივ წარუდგენს მას ორივე მხარეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ აირჩევს არბიტრს, არბიტრაჟის თავმჯდომარე მას თვითონ დანიშნავს.

3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე, დასაბუთების საფუძველზე, არ ეთანხმება არბიტრაჟის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას არბიტრის შერჩევაზე, მას შეუძლია გამოიყენოს არბიტრის აცილების უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წესების მე-12 მუხლითა და კანონმდებლობით.

#### **მუხლი 10 საარბიტრაჟო კოლეგიის არბიტრების არჩევა**

1., გარდა მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყველა სხვა საარბიტრაჟო პროცესისთვის არბიტრაჟი ნიშნავს სამ არბიტრს შემდეგი გზით:

2. სასარჩელო განაცხადის და პასუხის მიღების შემდეგ არბიტრაჟი ორივე მხარეს უგზავნის არბიტრების სიას, რომლიდანაც პირველ რიგში ამოღებულია ის არბიტრები, რომლებიც რაიმე გზით, ან პროფესიული თვალსაზრისით არის დაკავშირებული რომელიმე მხარესთან.

3. თითოეული მხარე, ხუთი დღის განმავლობაში, აღნიშნული სიიდან ირჩევს არანაკლებ სამ–სამ ისეთ არბიტრს, რომელიც, მათი აზრით, საარბიტრაჟო პროცესში გამოავლენს მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.

4. არბიტრაჟი თითოეული მხარის “მოკლე სიიდან” ირჩევს სამ არბიტრს და დაუყოვნებლივ წარუდგენს ამ სიას ორივე მხარეს.

5. თუ რომელიმე მხარე არ აირჩევს არბიტრს, თვით არბიტრაჟის თავმჯდომარე განახორციელებს არბიტრთა დანიშვნას.

6. თუ რომელიმე მხარე, დასაბუთების საფუძველზე, არ ეთანხმება არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არბიტრთა შერჩევაზე, ამ მხარეს შეუძლია გამოიყენოს არბიტრის გაწვევის პროცედურა, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წესების მე-12 მუხლთა და კანონმდებლობით.

## **მუხლი 11**

### **არბიტრის აცილების საფუძველები.**

1. არ შეიძლება არბიტრმა განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები და ვალდებულებები აკავშირებს ან ამ საქმეში სხვა სახის პირადი ინტერესი გააჩნია;

ბ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) პირადად, პირდაპირ ან არაპირადად დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

დ) საქმიან ან პროფესიონალურ ურთიერთობაშია რომელიმე მხარესთან ან მათ წარმომადგენელთან, მიუხედავად იმისა რა ხნის წინ მოხდა ეს;

ე) ამჟამინდელ ან წარსულ ფინანსურ ურთიერთობაში იყო რომელიმე მხარესთან ან მათ წარმომადგენელთან;

ვ) საქმესთან დაკავშირებული რომელიმე საკითხისადმი მყარი აზრის ან რწმენის მქონეა და რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;

ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

3. აცილების საფუძველების არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიუთითოს თვითაცილების საფუძველები.

## **მუხლი 12**

### **აცილების პროცედურა**

1. მხარემ, რომელიც აპირებს არბიტრის აცილებას, აცილებაზე შეტყობინება უნდა გაუგზავნოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს, არბიტრის დანიშვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ათი დღის განმავლობაში, ან მას შემდეგ ათი დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოება, რაც შეიძლება გახდეს აცილების საფუძველი.

2. აცილების შესახებ შეტყობინება ასევე გაეგზავნება მეორე მხარეს, გაწვეულ არბიტრს და დანარჩენ არბიტრებს. შეტყობინება უნდა გაკეთდეს წერილობით და მოტივირებული უნდა იქნეს.

3. როდესაც არბიტრის აცილება ხდება ერთი მხარის მიერ, მეორე მხარე უფლებამოსილია დაეთანხმოს ამ გადაწყვეტილებას. არბიტრმა ასევე შესაძლოა, აცილების განაცხადის შემდეგ, უარი განაცხადოს პროცესში მონაწილეობაზე. ორივე შემთხვევაში, 9 და 10 თავში მოცემული პროცედურა გამოიყენება სრულად, შემცველი არბიტრის დასანიშნად.

### **მუხლი 13**

1. თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას და არბიტრი ნებაყოფლობით არ გადადგება, განჩინებას გაწვევაზე იღებს დანარჩენი ორი არბიტრი.
2. თუ არბიტრის აცილების მოთხოვნა მხარე არ დაეთანხმება ორი არბიტრის განჩინებას, მხარეს უფლება აქვს ეს განჩინება გაასაჩივროს არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭოში.
3. არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭოს განჩინება საბოლოოა.
4. აუცილებლობის შემთხვევაში, ახალი არბიტრი დანიშნება ამ წესის 9 ან 10 მუხლში ჩამოყალიბებული არბიტრის დანიშვნის პროცედურის შესაბამისად.
5. სამი არბიტრის არჩევის დასრულების შემდეგ ეს არბიტრები თავისი რიგებიდან ირჩევენ კოლეგიის თავმჯდომარეს.

### **მუხლი 14**

#### **არბიტრის მიერ თავისი მოვალეობის ვერ შესრულება**

1. საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას, არბიტრის გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში, მე-9 ან მე-10 მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურის შესაბამისად ხდება შემცველი არბიტრის დანიშვნა ან ამორჩევა.
2. იმ შემთხვევაში თუ არბიტრი თავს ვერ ართმევს თავისი მოვალეობის შესრულებას ან სხვა დე ფაქტო ან დე იურე შემთხვევებში, არბიტრის შეცვლა ხდება მუხლ 12-ში ჩამოყალიბებული პროცედურის შესაბამისად.

#### **თავი ირი. საარბიტრაჟო პროცესი**

### **მუხლი 15**

#### **საარბიტრაჟო პროცესის ზოგადი დებულებები**

1. საარბიტრაჟო პროცესის მოწვევა უნდა მოხდეს არბიტრების საარბიტრაჟო კოლეგიაში დანიშნიდან ოცი დღის განმავლობაში.
2. ამ წესების თანახმად, საარბიტრაჟო კოლეგიას შეუძლია არბიტრაჟი განახორციელოს თავისი შესწავლების შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა დაცული იქნება და პროცესის ყოველ ეტაპზე, მხარეებს საშუალება მიეცემათ სრულად წარმოადგინონ დავის გარემოება.
3. რომელიმე მხარის მოთხოვნით, საარბიტრაჟო კოლეგია აწარმოებს მოწმეთა ჩვენებების მოსმენას, ექსპერტის ჩვენებების და დებატების მოწყობის ჩათვლით. ამგვარი მოთხოვნის არ არსებობისას, კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას, მოიწვიოს მოსმენა თუ პროცესი დოკუმენტურ თუ სხვა მასალაზე დაყრდნობით აწარმოოს.
4. სარჩელთან ან საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი განიხილება როგორც კონფიდენციალური და აქედან გამომდინარე, არბიტრაჟს და მომავალი საარბიტრაჟო კოლეგიის წევრებს ეკრძალებათ მათი ასლების გაკეთება ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, გარდა საარბიტრაჟო პროცესში ჩაბმული პირებისა. პროცესის დასრულებისას, ყველა დოკუმენტი უბრუნდება არბიტრაჟს.

### **მუხლი 16**

#### **მოთხოვნის უფლება დოკუმენტის მიწოდებაზე**

1. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა ერთი მხარის მიერ მიწოდებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს.
2. დავის განმხილველ არბიტრაჟში მონაწილე ორივე მხარე უფლებამოსლია მოითხოვოს მოპირისპირე მხარის დოკუმენტები. მოთხოვნა უნდა მოხდეს წერილობით, დოკუმენტის და მისი აუცილებლობის ზუსტი მითითებით.
3. ნებისმიერი მოთხოვნა დოკუმენტზე უნდა ჩაბარდეს დავის განმხილველ არბიტრაჟს და მოპირისპირე მხარეს.
4. თუ მოპირისპირე მხარე ნებაყოფლობით არ გადასცემს დოკუმენტებს მომთხოვნ მხარეს, გადაწყვეტილებას იღებს დავის განმხილველი არბიტრაჟი.
5. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, დავის განმხილველი არბიტრაჟი განიხილავს დოკუმენტის აუცილებლობის საკითხს, ასევე ყოველი დოკუმენტის არსებობას და შესაბამისობას დავის საგანთან. თუ მოთხოვნა დოკუმენტებმა შესაძლოა მიუთითონ დავასთან დაკავშირებულ დამადასტურებელ ფაქტებზე მოთხოვნა დაკმაყოფილება.
6. თუ მოთხოვნა შეესაბამება მე-5 პარაგრაფის სტანდარტს და იგი მართლზომიერია, კოლეგია აკმაყოფილებს მოთხოვნას და ავალდებულებს მეორე მხარეს დროულად წარადგინოს დოკუმენტები.
7. თუ მოთხოვნა შეესაბამება მე-5 პარაგრაფის სტანდარტს, მაგრამ არის განზოგადებული, კოლეგიამ შესაძლოა, თავისი შეხედულებისამებრ, დააწესოს მართლზომიერი შეზღუდვა მასზე და დაავალდებულოს მეორე მხარე დროულად წარადგინოს დოკუმენტი.
8. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დავის განმხილველი არბიტრაჟი უზრუნველყოფს მხარის მიერ დოკუმენტის შედარებით მოკლე ვადაში წარდგენას, რათა მომთხოვნ მხარეს, მოსმენის დაწყებამდე, საკმარისი დრო ჰქონდეს მის განსახილველად და შესამოწმებლად.
9. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა, იმ შემთხვევაში თუ მხარე არ წარმოადგენს საჭირო დოკუმენტებს დროულად, შესაძლოა დააწესოს სანქციები ამ მხარის მიმართ.
10. დავის განმხილველი არბიტრაჟი, ყველა მოთხოვნაზე დოკუმენტზე გადაწყვეტილებას იღებს, მოთხოვნის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში.

## **მუხლი 17**

### **დამატებითი წერილობითი განცხადებები**

1. საარბიტრაჟო პროცესის დაწყებამდე, დავის განმხილველმა არბიტრაჟმა უნდა გადაწყვიტოს სასარჩელო განცხადებისა და პასუხის გარდა, საჭირო იქნება თუ არა მხარეებისგან სხვა წერილობითი განცხადებების წარდგენა და დააწესოს ამგვარი განცხადებების კოლეგიისათვის და მეორე მხარისთვის გადაცემის ვადა.
2. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა შესაძლოა მოითხოვოს ორივე მხარისგან, წარუდგინონ მას და მოპირისპირე მხარეს, მის მიერ დაწესებულ ვადებში, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების ნუსხა, რომელთა წარდგენასაც ეს მხარე აპირებს სადავო საკითხთან დაკავშირებით.

## **მუხლი 18**

### **ადვოკატის აყვანის უფლება**

თითოეულ მხარეს აქვს უფლება წარმოდგინილი იყოს ადვოკატის მიერ პროცესის, ნებისმიერ ეტაპზე.

## **მუხლი 19**

### **საარბიტრაჟო მოსმენა**

1. საარბიტრაჟო მოსმენაზე თითოეული მხარე ვალდებულია მისცეს თავისი სასარჩელო განაცხადისა თუ პასუხის დამადასტურებელი ახსნა-განმარტებები და დოკუმენტები.
2. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში, არბიტრაჟი მხარეებს წინასწარ აცნობებს მოსმენის ზუსტი თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, ამ წესის მე-2 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.
3. მოწმეთა დაკითხვის შემთხვევაში, მოსმენამდე სულ ცოტა 15 სამუშაო დღით ადრე, თითოეულმა მხარემ საარბიტრაჟო კოლეგიას და მოპირისპირე მხარეს უნდა გადასცეს მის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა ვინაობა და მოწმის ჩვენების საგანი.
4. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა შესაძლოა ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და მოითხოვოს მტკიცებულების წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ნებაყოფლობით არ გამოცხადდება ან არ წარმოადგენს მტკიცებულებებს, საარბიტრაჟო კოლეგია უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ჩვენების მისაცემად გამოძახებული მოწმის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.
5. დავის განმხილველმა არბიტრაჟმა შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის მოთხოვნით, მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
6. საარბიტრაჟო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პირობებში.
7. მოსმენა იმართება დახურულ დარბაზში, თუ მხარეები არ გადაწყვეტენ სხვაგვარად. საარბიტრაჟო კოლეგიამ შესაძლოა მოითხოვოს, რომელიმე მოწმის ან მოწმეების დარბაზიდან გასვლა, სხვა მოწმეების ჩვენებების მოსმენისას.

## **მუხლი 20**

### **მტკიცებულებების დასაშვები ნორმა**

1. დავის განმხილველი არბიტრაჟი ადგენს თუ რამდენად დასაშვებია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.
2. თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება დასაშვებია, დავის განმხილველი საარბიტრაჟი ადგენს თუ რამდენად შესაბამისი და არსებითია დავის საგანთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულება.
3. თუ წარმოდგენილმა მტკიცებულებამ შესაძლოა მიუთითოს დავასთან დაკავშირებულ დამადასტურებელ ფაქტებზე, კოლეგია მოსმენისას ამ მტკიცებულებას მიიღებს მხედველობაში და დაადგენს მის მნიშვნელობას.

## **მუხლი 21**

### **შუალედური ზომები**

1. რომელიმე მხარის მოთხოვნით და ფაქტების ზედმიწევნითი შესწავლის შემდეგ, დავის განმხილველი საარბიტრაჟი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი შუალედური ზომები, მაგალითად, მოსთხოვოს რომელიმე მხარეს, სარჩელის სრული თანხის პირობითი დეპონირება, შესაძლოა მხარის სახელზე.
2. შუალედური ზომები შესაძლოა მიღებული იქნას შუალედური გადაწყვეტილების სახით. დავის განმხილველი საარბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი ზომების შედეგად გამოწვეული ხარჯების დაფარვის გარანტია.
3. რომელიმე მხარის მიერ სასამართლოში შეტანილი მოთხოვნა შუალედური ზომების მიღებასთან დაკავშირებით არ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმებასთან შეუსაბამობაში მყოფად.

## **მუხლი 22**

### **ექსპერტის აზრი**

დავის მოსმენაზე რომელიმე მხარეს შეუძლია წარმოადგინოს ექსპერტი სადავო საკითხებზე აზრის გამოსათქმელად.

### **მუხლი 23**

#### **წარუდგენლობა ან გამოუცხადებლობა**

1. თუ დავის განმხილველი საარბიტრაჟის მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში მოსარჩლე არ წარადგენს სარჩელო განაცხადს და არ ახსნის წარუდგენლობის დამასაბუთებელ მიზეზს, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პროცესის შეწყვეტის შესახებ.
2. თუ დავის განმხილველი არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში მოპასუხე არ წარადგენს პასუხს და არ ახსნის წარუდგენლობის დამასაბუთებელ მიზეზს, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას პროცესის გაგრძელების შესახებ.
3. თუ რომელიმე მხარე, რომელსაც არსებული წესების საფუძველზე სათანადო შეტყობინება გაეგზავნა არ გამოცხადდება მოსმენაზე და არ ახსნის გამოუცხადებლობის დამასაბუთებელ მიზეზს, დავის განმხილველმა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა მის გარეშე.
4. თუ რომელიმე მხარე, რომელსაც მოეთხოვება დოკუმენტური მტკიცებულების წარმოდგენა არ წარმოადგენს მას დადგენილ ვადაში და არ ახსნის ამის დამასაბუთებელ მიზეზს, დავის განმხილველმა არბიტრაჟმა შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

### **მუხლი 24**

#### **საარბიტრაჟო მოსმენის დახურულად გამოცხადება**

მას შემდეგ, რაც თითოეულ მხარეს მიეცემა ახსნა-განმარტებების სრულად წარმოდგენის შესაძლებლობა, დავის განმხილველი საარბიტრაჟო მხარეებს მოსთხოვს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენას. თუ ორივე მხარე განაცხადებს, რომ ისინი დამატებით არაფერს წარმოადგენენ, დავის განმხილველი საარბიტრაჟო მოსმენას დახურულად გამოაცხადებს.

### **მუხლი 25**

#### **უარყოფა**

მხარე, რომელმაც იცის, რომ არსებული წესების ან კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის რომელიმე პირობა ან მოთხოვნა არ შესრულებულა და საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობას აგრძელებს ამ ფაქტის დაუყოვნებელი გაპროტესტების გარეშე, ჩაითვლება, რომ მან ამ საკითხის გაპროტესტების უფლება უარყო.

#### **თავი 10. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

### **მუხლი 26**

1. სამი არბიტრის არსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო კოლეგიის ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ იქნება არბიტრთა უმრავლესობით.
2. არც ერთ არბიტრს არ აქვს თავის შეკავების უფლება.

### **მუხლი 27**

1. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გარდა, დავის განმხილველი საარბიტრაჟო უფლებამოსილია გამოიტანოს შუალედური ან ნაწილობრივი გადაწყვეტილებები.

2. საბოლოო გადაწყვეტილება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მას მხარეებისთვის საბოლოო და სავალდებულო ძალა აქვს. მხარეები თავიანთ თავზე იღებენ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულებას.
3. გადაწყვეტილებას ხელს აწერს მოცემული საარბიტრაჟო საქმის განმხილველი არბიტრი.
4. გადაწყვეტილება შეიძლება საჯაროდ იქნას გამოცხადებული მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე.
5. გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი დღის განმავლობაში, არბიტრთა მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილების ასლები გადაეცემათ მხარეებს და იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
6. არბიტრაჟი ვალდებულია არანაკლებ 20 წლის განმავლობაში შეინახოს ყველა მიღებულ გადაწყვეტილებათა ასლები.
7. ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნება საარბიტრაჟო პროცესის დასრულებიდან არაუმეტეს ოცდაათი დღის განმავლობაში.

## **მუხლი 28**

### **საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიღება წერილობითი ფორმით და მასში აღინიშნება:
  - ა) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა;
  - ბ) საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა;
  - გ) დავაში მონაწილე ყველა მხარე;
  - დ) დავის საგანი;
  - ე) სამოტივაციო ნაწილი, რომელიც მიუთითებს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი სამოტივაციო ნაწილის არარსებობას;
  - ვ) არბიტრაჟის დადგენილება; და
  - ზ) გადაწყვეტილების აღსრულების ვადა და/ან პირობები.
2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოწმდება სანოტარო წესით.
3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს და იმ რაიონულ (ქალაქის) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი.

## **მუხლი 29**

1. დავის განმხილველი არბიტრაჟი გამოიყენებს კანონს, რომელიც მხარეების შეხედულებისამებრ დავის საგანზე ვრცელდება. თუ მხარეები შესაბამის კანონს არ შეარჩევენ, დავის განმხილველი არბიტრაჟი გამოიყენებს კანონთა კოლიზიის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ წესებს.
2. ყველა შემთხვევაში, დავის განმხილველი არბიტრაჟი საკითხს გადაწყვეტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მხედველობაში მიიღებს კანონებსა და გარიგების შესაბამის პროფესიონალურ ქმედებებს.

## **მუხლი 30**

### **დავის მოგვარება**

1. თუ გადაწყვეტილების მიღებამდე მხარეები შეთანხმდებიან დავის მოგვარებაზე, საარბიტრაჟო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას პროცესის შეწყვეტის შესახებ ან მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე დავის მოგვარებას შეთანხმებულ პირობებზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმით შეადგენენ.
2. მხარეთა მორიგების შემთხვევაში დავის განმხილველი საარბიტრაჟი ვალდებულია მოსმენის გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ და ამ გადაწყვეტილების ასლები გაუგზავნოს მხარეებს მათ მიერ დავის მოგვარების თაობაზე განცხადების მიმართვიდან 3 დღის ვადაში.

## **მუხლი 31**

### **გადაწყვეტილების განმარტება**

1. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, ნებისმიერმა მხარემ შეიძლება დავის განმხილველ საარბიტრაჟს მოსთხოვოს გადაწყვეტილების განმარტება, შეატყობინებს რა ამის შესახებ მეორე მხარეს.
2. მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში განმარტება უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით და იგი გადაწყვეტილების ნაწილს უნდა შეადგენდეს.

## **მუხლი 32**

### **შეცდომათა გასწორების მოთხოვნა**

1. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, ნებისმიერმა მხარემ შეიძლება დავის განმხილველ საარბიტრაჟს მოსთხოვოს გამოთვლის, საკანცელარიო, ტიპოგრაფიული შეცდომების თუ მსგავსი შეცდომების გასწორება გადაწყვეტილებაში, შეატყობინებს რა ამის შესახებ მეორე მხარეს. გადაწყვეტილების გაცემიდან 30 დღის განმავლობაში არბიტრაჟმა საკუთარი ინიციატივით შეიძლება შეიტანოს შესწორებები გადაწყვეტილებაში.
2. ეს შესწორებები წერილობითი ფორმით მომზადდება და გაეგზავნება მხარეებს ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. ეს შესწორებები გადაწყვეტილების ნაწილი გახდება.

## **მუხლი 33**

### **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულება**

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე.
2. არბიტრაჟის თავმჯდომარე სააღსრულებლო წარწერას გაცემს საკუთარი ინიციატივით ანდა დავის განმხილველი არბიტრაჟის ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის მისთვის წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში.
3. სააღსრულებლო წარწერის გაცემის შემდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდება სააღსრულებლო წარმოებისათვის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 34**

### **აპელაციის უფლება სასამართლოში**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში და შეცვლილი ან ჰგაუქმებული იქნეს, თუ:

- ა) ის ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ან სისხლის სამართლის კანონმდებლობას;
- ბ) არბიტრაჟმა დაარღვია მხარეთა შეთანხმებით და "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები.
- გ) საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კანონის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

## **მუხლი 35**

### **რეგრესიული მოთხოვნა**

გადაწყვეტილების მიმართ რეგრესიული მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, არბიტრაჟის გადაწყვეტილების განხორციელება არ შეჩერდება. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს უფლება ექნება შეწყვიტოს რეგრესიული გადაწყვეტილების განხორციელება იმ მიზეზით, რომ იგი მხარეს გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს.

### მუხლი 36

#### საარბიტრაჟო ხარჯების ცნებათა განსაზღვრა.

1. არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.
2. საარბიტრაჟო ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.
3. არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

### მუხლი 37

#### საარბიტრაჟო ბაჟი

საარბიტრაჟო ბაჟის გადახდევინება წარმოებს:

- ა) სარჩელზე;
- ბ) შეგებებულ სარჩელზე;

### მუხლი 38

#### საარბიტრაჟო ბაჟის ოდენობა

საარბიტრაჟო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და გამოითვლება შემდეგი ცხრილით:

დავის საგნის ღირებულება (სარჩელის ფასი)	საარბიტრაჟო ბაჟის ოდენობა
10000 - მდე	4% (არანაკლებ 200 ლარი)
10000	100000 - მდე
100000	500000 - მდე
500000	1000000- მდე
1000000	2000000- მდე
2000000	3000000- მდე
3000000	4000000- მდე
5000000 დან ზევით	1%

### მუხლი 39

#### დავის საგნის ღირებულება

1. დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე.
2. თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს არბიტრაჟი, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

### მუხლი 40

#### არბიტრაჟში საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

- ა) მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები;
- ბ) თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები;
- გ) ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯები;
- დ) მოპასუნის მოძებნის ხარჯები;
- ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

## **მუხლი 41**

### **მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნისათვის გადასახდელი თანხები**

1. მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს აუნაზღაურდებათ არბიტრაჟში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემათ დღიური თანხა.
2. ექსპერტები, თარჯიმნები, სპეციალისტები იღებენ გასამრჯელოს არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის დადებული შეთანხმების საფუძველზე. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ უნდა მოანდომონ არბიტრაჟის დავალების შესრულებას, მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის და სხვა.

## **მუხლი 42**

### **საარბიტრაჟო ხარჯების ოდენობის შემცირება**

1. არბიტრაჟის ხარჯების ოდენობა განახევრდება, თუ:
  - ა) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან მოპასუხემ ცნო სარჩელი;
  - ბ) მხარეები მორიგდებიან;
  - გ) გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
2. თუ სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადაო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

## **მუხლი 43**

### **მხარის მიერ საარბიტრაჟო ხარჯების წინასწარ შეტანა**

საარბიტრაჟო ხარჯები წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც საარბიტრაჟო სარჩელი აღძრა.

## **მუხლი 44**

### **საარბიტრაჟო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს—სარჩელის მთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

## **მუხლი 45**

### **საარბიტრაჟო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას**

1. თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით დავის განმხილველი არბიტრაჟი მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების ყველა ხარჯის ანაზღაურებას.
2. თუ მხარეებმა მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

## **მუხლი 46**

### **საარბიტრაჟო ხარჯების გამო გამოტანილ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება**

საარბიტრაჟო ხარჯების გამო გამოტანილ გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს არბიტრაჟის სამეთვალყურეო საბჭოში.

#### **მუხლი 47**

##### **მცირე სასარჩელო პროცედურა**

1. ნებისმიერი სარჩელი, რომლის მთლიანი ღირებულება არ აღემატება 10,000 ლარს, მოგვარდება მხარეთა მიერ არბიტრაჟის მცირე სასარჩელო პროცედურის გამოყენებით, როგორც ეს ამ მუხლშია აღწერილი.
2. სარჩელი მოგვარდება ერთი არბიტრის მიერ, რომელიც მხარეთა მიერ აირჩევა არბიტრთა სიიდან და საარბიტრაჟო განხილვა მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოხდება.
3. არბიტრის შესარჩევად, არბიტრაჟი გამოიყენებს არსებული წესების მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულ პროცედურას.
4. ორივე მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს არბიტრის შერჩეული კანდიდატურა არსებული წესების მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად.
5. არბიტრმა მხარეებს შეიძლება მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტები და ამ დოკუმენტთა შესადგენად გარკვეული ვადა დაუწესოს.
6. ყველა დოკუმენტაციის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, არბიტრი გამოიტანს გადაწყვეტილებას და ორი დღის ვადაში მათ მხარეებს გაუგზავნის არსებული წესების მე-2 მუხლის შესაბამისად.